გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების

წ ე ს დ ე ბ ა

§1

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილება დაარსდა და ჩამოყალიბდა ქალაქ თბილისში 1970 წელს. იგი წარმოადგენს 1885 წლის 20 ივნისს ვაიმარში დაარსებული საზოგადოების განყოფილებას. ამიტომ გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილების წესდებაც გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების წესდების ძირითადი მუხლების გათვალისწინებითაა შედგენილი.

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილება წარმოადგენს იურიდიულ პირს /1885 წლის 1 ივლისს გოეთეს ვაიმარის საზოგადოებას იურიდიული პირის ყველა უფლება მიენიჭა/.

§2

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების ამოცანა და მიზანია ი.ვ. გოეთეს შემოქმედების მეცნიერული კვლევა, და პოპულარიზაცია. გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილება ი.ვ. გოეთეს მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრია საქართველოში. გარდა ამისა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილება მიზნად ისახავს გერმანული კლასიკური ლიტერატურის და გერმანულენოვანი ლიტერატურის მეცნიერულ კვლევასა და პროპაგანდას, აგრეთვე გერმანული კულტურის გაცნობას ქართველი აუდიტორიისათვის. გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილების მიზანს წარმოადგენს აგრეთვე კავშირის დამყარება საზღვარგარეთის გოეთეოლოგიურ ცენტრებთან /მათ შორის რუსეთთანაც/, კოორდინაცია საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებლების სათანადო კათედრებთან, რომლებიც გოეთეს შემოქმედებას ასწავლიან და გოეთეს თარგმანების საჯაროდ წაკითხვა-განხილვა.

§3

წესდების მეორე მუხლში ჩამოყალიბებული მიზნისა და ამოცანის შესასრულებლად გოეთეს საერთაშორისო საქართველოს განყოფილება ატარებს რეგულარულ სხდომებსა და ღონისძიებებს, რომლებზეც გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმისა და სრული წევრები იძლევიან და იხილავენ მოხსენებებსა და რეფერატებს [illegible]

ი.ვ. გოეთეს შემოქმედების შესახებ, ასევე გერმანულენოვანი ლიტერატურის სხვადასხვა საკითხზე. ტარდება აგრეთვე ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები და სხვა ღონისძიებები.

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილება ყოველწლიურად მარტის თვეში ატარებს თავის ტრადიციულ ღონისძიებას "გოეთეს დღეებს".

§4

განსხვავებით გოეთეს ვაიმარის საერთაშორისო საზოგადოებისაგან ამ საზოგადოების საქართველოს განყოფილება საზოგადოებრივ საწყისებზე ფუნქციონირებს და მისი წევრები წლიურ საწევროებს არ იხდიან. საზოგადოების ყოველი წევრი თავისუფალია ფინანსური ვალდებულებებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისურვებს მონაწილეობა მიიღოს იმ ღონისძიებაში, რომელიც გარკვეული ხარჯის გაწევას ითვალისწინებს.

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი, რომელიც იზიარებს საზოგადოების წესდებას. გარდა ამისა ამ საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს როგორც კერძო პირი, ასევე საზოგადოებრივი იურიდიული პირი. გაწევრიანებისათვის საკმარისია მსურველი პირის წერილობითი განცხადება გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტისა ან პრეზიდიუმის სახელზე.

§5

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს პრეზიდიუმი / ანუ გამგეობა/, რომლის რეზიდენცია ქალაქ თბილისშია. გარდა ამისა ფუნქციონირებს აგრეთვე ამ საზოგადოების ქუთაისის ქვეგანყოფილებაც.

§6

გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილების საქმიანობას ხელმძღვანელობს მისი პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი, სწავლული მდივანი და პრეზიდიუმის თერთმეტი წევრი. ქვორუმს შეადგენს პრეზიდიუმის შვიდი წევრი. პრეზიდიუმის სხდომები იმართება ი.ვ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გოეთეს კაბინეტში".

§7.

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების ყრილობა მოიწვევა პრეზიდიუმის მიერ ოთხ წელიწადში ერთხელ.

SOVLAB

§8

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილებას აქვს თავისი გეგმიდით ორგანო"გოეთეანა", რომელიც გამოიცემა ორ-სამ წელიწადში ერთხელ.

§9

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების სამუშაო წელი არის კალენდარული წელი.

წესდება დამტკიცებულია გფრ-ის ვაიმარის გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ახალი, 1991 წლის 22 მაისის წესდების მიხედვით გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის სხდომაზე 1993 წელს, 26 თებერვალს, ქ.თბილისში.

SOVLAB